## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 034 000 | 8 141 500 | 9 319 500 | 9 955 900 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა. |
| პროგრამის აღწერა | ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ანვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.<br>სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:<br>• ჯანდაცვის სტასტისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სქოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და სხვა არაგადამდები დაავადებები);<br>• დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს „სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის“ მიერ 2013 წლის ზაფხულში ჩატარებული კვლევების მონაცემები. სიტუაციას აუარესებს ახალგაზრდებში სხვადასხვა არაჯანსაღ გასართობთა  მზარდი პოპულარობა (კომპიუტერული თამაშები, ტოტალიზატორი, კაზინო და სხვა).<br>აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.<br>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.<br>პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:<br>- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;<br>- ბათუმელი სპორტსმენების  ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;<br>- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;<br>- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი ,,ნონა'';<br>- ა(ა)იპ  ბათუმის საცხენოსნო კლუბი. |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო  შედეგი | უზრუნველყოფილია  საზოგადოების  ჩართულობა  სპორტის  სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია  ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ პირთა რაოდენობა | 1 700 | 1 700 | 1 800 | 1 900 | 2 000 | 10% - ნაკლები მომართვიანობა; |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში მოღვაწე ადგილობრივი პროფესიონალი სპოტსმენების %-ლი წილი | 60% | 60% | 70% | 70% | 70% | 10% - ადგილობრივი სპორტსმენების დაბალი კონკურენციის უნარი. |
| 3 | მუნიციპალური კლუბების მიერ ეროვნულ ჩემპიონატებში დაკავებული საპრიზო ადგილების რაოდენობა | 8 | 8 | 10 | 12 | 12 | 40% - სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი ასპარეზობა/დაზიანება. |
| 4 | მუნიციპალური სპორტული სერვისებით მოსარგებლე ბავშვთა და მოზარდთა საერთო რაოდენობა | 1 400 | 1 450 | 1 450 | 1 450 | 1 450 | 20% - ნაკლები მომართვიანობა; |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 01 | მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 618 300 | 650 000 | 540 400 | 648 500 |

| ქვეპროგრამის მიზანი | მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა |
|---|---|
| | მასობრივი სპორტი აერთიანებს ყველა პირს, რომელიც დაკავებულია ნებისმიერი სპორტული/ფიზიკური აქტივობის ორგანიზებული ან არაოგანიზებული ფორმით, განურჩევლად რასისა, სქესობრივი ორიენტაციისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიური მრწამსისა და ფიზიკური შესაძლებლობისა. მასობრივი სპორტის განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ფიზიკურ გაჯანსაღებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაციას. მასობრივი სპორტი პირდაპირ კავშირშია და წარმოადგენს საფუძველს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარებისა; გარდა ამისა, მასობრივი სპორტის განვითარება  შედეგს მრავალი მიმართულებით იძლევა, მათ შორის:<br>- დანაშაულის პრევენცია, ბავშვებისა და ახალგაზრდების ენერგიის და აგრესიულობის მოქცევა ჯანსაღი სპორტული შეჯიბრების კალაპოტში. თავისუფალი დროის ორგანიზებული ხარჯვა;<br>- დაავადებათა პრევენცია, ფიზიკური აქტიურობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებით, მასობრივ სპორტში აქტიური ჩართულობით დაავადებათა პრევენციისა და მოსახლეობის გაჯანსაღების საფუძვლების შექმნა. მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება ჩვენს ქალაქში სხვადასხვა მიმართულებით იძლევა პროგრესს და ზრდის სპორტით დაინტრესებული ადამიანების რაოდენობას;<br>ქვეპროგრამის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც არ არიან ჩართული მაღალი მიღწევების სპორტულ კლუბებში, ასევე,  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდება რეგულარულად.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: |
| | **1. ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი** - პროექტი ითვალიწინებს ფეხბურთის სამი სახეობის გაერთიანებას.  ეზოს ფეხბურთში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის 10 ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი. ეზოს ფეხბურთის მონაწილეებიდან მოხდება წარმატებული ბავშვების შერჩევა და გადაყვანა ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის სექციებში, ასევე მოხდება ნიჭიერი ბავშვების გადაყვანა პროფესიონალურ კლუბებში. პროექტის ფარგლებში ჩატარდება სხვადასხვა ფესტივალი, გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები  სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები. ასევე გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ექსკურსიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.   ზაფხულის პერიოდში ჩატარდება საპლაჟო ფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა  ქვეყნიდან  მოწვეული და ადგილობრივი გუნდები.<br>**2. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია -**  პროექტში ჩაერთვება 50-მდე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები სექციური მუშაობის  ფარგლებში ჩატარდება აქტივობები კვირაში ორჯერ, მოზარდებთან იმუშავებს 2 მწვრთნელი, თერაპევტი და ფსიქოლოგი; წელიწადში ორჯერ ჩატარდება საჩვენებელი ფესტივალი.  ფესტივალის მონაწილე მოზარდებს გადაეცემათ წამახალისებელი საჩუქრები. ღონისძიების მიზანია ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა. |

ქვეპროგრამის აღწერა

**3. სასკოლო ოლიმპიადა** - ღონისძიება ჩატარდება ორ ეტაპად: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა და მხიარული თამაშები (საგაზაფხულო-საშემოდგომო ლიგა). მონაწილეობას მიიღებს ქ. ბათუმის ყველა საჯარო და კერძო სკოლა. ჯამში ჩართული იქნება 2000-მდე მოზარდი. გამარჯვებული გუნდები  მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის  ჩემპიონატში. ღონისძიების მიზანია ბავშვების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

**4. ბათუმი სპორტის ქალაქი** - კონკურსი ითვალისწინებს გამორჩეული (სანახაობითი/მიმზიდველი/აქტუალური) სპორტული ღონისძიებების შერჩევა-განხორციელებას, რომელთა ჩატარება ხელს შეუწყობს - მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და სპორტის განვითარების მხარდაჭერას, ბათუმელი სპორტსმენების (არაპროფესიონალი) სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას და ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას. კონკურსის  ასიგნებათა  ჯამური მოცულობა  შეადგენს - 100 ათას ლარს, ხოლო მოთხოვნილი თანხა  თითოეულ პროექტზე,  განისაზღვრება - არაუმეტეს 10,0 ათასი ლარისა. სამიზნე აუდიტორია/ჯგუფები:

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელები;
- ზოგადსაგანმანათლებლო/საჯარო სკოლების მოსწავლეები („ჯანსაღი სკოლა“);
- სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებები (მათ შორის ეზოებში არსებული სპორტული მოედნების მიზნობრივი დატვირთვა, ირგვლივ მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურების,  ჩართულობის გაზრდის მიზნით);
- უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები (სტუდენტები/მოსწავლეები);
- შრომითი დასაქმების დაწესებულებები (თანამშრომლები - წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და შრომითი დასაქმების სხვა სფეროში);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- პენიტენციური დაწესებულებები (ბრალდებულები/მსჯავრდებულები);
- ქალაქის მოსახლეობა („ჯანსაღი ქალაქი“ - ასაკი შეუზღუდავი. მ.შ. ვეტერანები).

კონკურსში გამარჯვებული პროექტების მაღალორგანიზებულად განხორციელების მიზნით, მომსახურების შესყიდვა განხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე. კონკურსის პირობები და პროცედურები (მათ შორის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარების და პროექტისგანხორციელების წესი და სხვ.) განისაზღვრება  ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით.

**5. ქვიშის სახეობების ფესტივალი** - ჩატარდება ფესტივალი სპორტის 5 სახეობაში, კერძოდ ,ქართული ჭიდაობა,  ტექბოლი, ქვიშის ფრენბურთი, ქვიშის რაგბი და ფუტვოლეი მოყვარულ სპორტსმენთა შორის, რომელშიც მონაწილე გუნდების რაოდენობა შეზღუდული არ იქნება. ჩემპიონატში მონაწილეობას 500-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს და მონაწილეობა აეკრძალებათ მოქმედ პროფესიონალ სპორტსმენებს. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცემათ პრიზები და ფასიანი ვაუჩერები, რაც გაზრდის მოტივაციას რაც შეიძლება ბევრი გუნდი და სპორტსმენი ჩაერთოს სამომავლოდ;

**8. მხიარული თამაშები** -  ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა უწყებები/ორგანიზაციები, თამაშებში ჩაერთვება ქალთა  და ვაჟთა შერეული გუნდები,ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან სხვადასხვა მხიარულ თამაშებში. თამაშების სახეობები წინასწარ იქნება ცნობილი გუნდებისთვის, რათა შეჯიბრებამდე პერიოდში გუნდები მოემზადოს აღნიშნული ღონისძიებისთვის. ღონისძიების ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები რომლებიც დასაჩუქრდება სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. თამაშები გაგრძელდება 15 დღის განმავლობში, აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას საზოგადოებაში.

**9. სპორტული ბანაკი** -  ბანაკის მონაწილეები შედგებიან 5 ცალკეული გუნდისაგან, რომელთაც ეყოლებათ საკუთარი ფიტნეს ინსტრუქტორი (მენტორი). გუნდები საკუთარი მენტორის ხელმძღვანელობით გეგმავენ და ატარებენ ფიზიკურ ვარჯიშებს. ვარჯიშების მიზანია მოამზადოს გუნდები ფინალური შეჯიბრისთვის. ფინალური შეჯიბრი წარმოდგენს ე.წ. “დაბრკოლებების გზას”, რომლის გადალახვაც განსაზღვრულ დროში მოუწევს ყველა გუნდის თითოეულ მონაწილეს. ჯანსაღი ცხოვრების ბანაკი ემსახურება ახალგაზრდებში სპორტული ცხოვრების, სწორი კვების და  ჯანმრთელობის უსაფრთხოების პოპულარიზაციას. ბანაკის ხანგრძლივობა 14 დღე, 50 ახალგაზრდა ნაკადში, ორი ნაკადი - ჯამში 100 ახალგაზრდა.

**10. ველო მარათონი** - ღონისძიებაში მონაწილეობა შეეძლება ყველა მსურველს, ველო მარათონი ჩატარდება ზღვისპირა ზოლის პლომინატზე გამოვლინდება გამარჯვებულებები რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი ვაუჩერით. ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა  და ჯანსაღი ცხოვრების წესია.

**11. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი  მიძღვნილი სპორტული ღონისძიება**  ითვალისწინებს მველი ქართული სპორტის სახეობების გაცოცხლებას,  ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა დაინტერესებული პირი  გამოვლინდება გამარჯვებულებები რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით  . ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესია.

**12. ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების** ფარგლებში ჩატარდება ქართული ჭიდაობის ფესტივალი, სპორტული აქტივობები და მასტერკლასები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ასევე გაიმართება სპორტული ცეკვების (ბრეიკდანსის) ფესტივალი  ღონისძიების მიზანია მოხალისეების აქტიური ჩართულობა  და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია

| | |
|---|---|
| | **13. ბავშთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების** ფარგლებში ყინულის მოედანზე გაიმართება ფიგურული ციგურაობის საბავშვო ფესტივალი,მოწვეული იქნება ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კერძო და საჯარო ბაღების აღსაზრდელები რომელთათვის გაიმართება სპორტული თამაშები ღონისძიების მიზანია ბაშვების აქტიური ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. |
| | **14. ქუჩის კალათბურთი.** პროექტი იქნება ოთხ ეტაპიანი , პირველ ეტაპზე ბათუმში აირჩევა 10 საკალათბურთო მოედანი, თითეული მათგანი იქნება ქალაქის სხვადასხვა უბანში, აღნიშნული მოედნები მოემსახურება ვარჯიშების ჩატარებას , დაინიშნება 10 მწვრთნელი მათი ფუნქცია-მოვალეობებია , ავარჯიშონ დაინტერესებულ პირები კალათბურთში და ასწავლონ ქუჩის კალათბურთის წესები ,<br>ვარჯიშები გაგრძელდება 3 თვის განმავლობაში, ნებისმიერ მსურველს ექნება შესაძლებლობა მივიდეს შეთანხმებულ დროს მოედანზე და მიიღოს უფასოდ საკალათბურთო განათლება, ამ სავარჯიშო პერიოდის განმავლობაში მწვრთნელები კარგად დააკვირდებიან მოსულ მოთამაშეებს და დააკომპლექტებენ 6 კაციან უბნის ნაკრებებს, რომლებიც პროექტის ბოლო ფაზაში გასამართ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის ბოლო, ეტაპზე: გუნდები დაიწყებენ მატჩების გამართვას ერთმანეთთან, რომელიც გაგრძელდება 1 თვის განმავლობაში, ტურნირი გაიმართება ოლიმპიური სისტემით, ღონისძიება ხელს შეუწყობს ქუჩის კალათბურთის პოპულარიზაციას ქალაქის მაშტაბით |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობა. |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ჩატარებული სპორტული აქტივობების რაოდენობა | 600 | 700 | 5% - ცუდი მეტეოროლოგიული პირობები; |
| 2 | სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირთა რაოდენობა | 3 000 | 3 200 | 10% -ნაკლები მომართვიანობა; |
| 3 | ეზოს, საპლაჟო და ფუტსალის ფეხბურთის გუნდების რაოდენობა | 66 | 66 | 10% - ნაკლები მომართვიანობა |
| 4 | მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა | 100 | 120 | 20% - მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი** | | | | **290 660** | **290 660** | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 25 | 7 700 | 192 500 | 192 500 | |
| | სპორტული დარბაზის იჯარა (საპლაჟო და ფუტსალი ) | თვე | 5 | 2 000 | 10 000 | 10 000 | |
| | სპორტული ინვენტარი და ეკიპირება | | | | 16 000 | 16 000 | |
| | ეზოს ფეხბურთის ღონისძიება | ტურნირი | 1 | 20 000 | 20 000 | 20 000 | |
| | ქვიშის ფეხბურთის ღია ფესტივალი | ფესტივალი | 1 | 23 000 | 23 000 | 23 000 | |
| | შიდა სატურნირო მივლინება | | 14 | 2 083 | 29 160 | 29 160 | |
| 2 | **სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია** | | | | **57 040** | **57 040** | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 4 | 8 350 | 33 400 | 33 400 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დარბაზის იჯარა | თვე | 12 | 720 | 8 640 | 8 640 | |
| | სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული ფესტივალი | ფესტივალი | 2 | 7 500 | 15 000 | 15 000 | |
| 4 | სასკოლო ოლიმპიადა | | | | 40 000 | 40 000 | |
| 5 | ბათუმი სპორტის ქალაქი | კონკურსი | 1 | 60 000 | 60 000 | 60 000 | |
| 6 | ქვიშის სახეობების ფესტივალი | ფესტივალი | 1 | 25 000 | 25 000 | 25 000 | |
| 7 | სპორტული ბანაკი | ღონისძიება | 1 | 40 000 | 40 000 | 40 000 | |
| 8 | მხიარული თამაშები | ღონისძიება | 1 | 20 000 | 20 000 | 20 000 | |
| 9 | ველო მარათონი | ღონისძიება | 1 | 15 000 | 15 000 | 15 000 | |
| 10 | საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | ღონისძიება | 1 | 10 000 | 10 000 | 10 000 | |
| 11 | ბათუმობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 10 000 | 10 000 | 10 000 | |
| 12 | ბავშვთა დღისადმი  მიძღვნილი სპორტული ღონისძიება | ღონისძიება | 1 | 10 000 | 10 000 | 10 000 | |
| 13 | ქუჩის კალათბურთი | ღონისძიება | 3 | 13 533 | 40 600 | 40 600 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 618 300 | 618 300 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 03 | ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 55 000 | 55 000 | 55 000 | 55 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების ოსტატობის ამაღლების ხელშეწყობა, წარმატებული ბათუმელი სპორტსმენების, ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების წახალისება. |
| ქვეპროგრამის აღწერა | ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მათი სხვადასხვა, საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ურთიერთობების დამყარება, ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაცნობა-გაზიარება.<br>ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს ბათუმელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების  პროფესიულ ზრდას, გამოცდილების გაღრმავებას, ქართული სპორტის სხვადასხვა სახეობების საერთაშორისო მასშტაბით წარმოჩენას, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს შორის კონტაქტების დამყარებას, სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაფასებასა და სტიმულირებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები;<br>**1. ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა -**<br>ღონისძიება ითვალისწინებს ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების მხარდაჭერა/ხელშეწყობას, წახალისების, სტიმულირების, სპორტულ ტურნირებში/შეჯიბრებებში მონაწილეობის, გამოცდილების შეძენისა და ოსტატობის ამაღლების მიზნით, თანადაფინანსების ფორმატში. კონკურსის შედეგად შერჩეული თითოეული პირი მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით, არაუმეტეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარისა, რომელიც ითვალისწინებს: მგზავრობის; ვიზის; დაზღვევის; სასტუმროს; ტურნირში მონაწილეობისა და სპორტული ეკიპირების ხარჯებს.<br>კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:<br>ა) განაცხადი;<br>ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;<br>გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>დ) რეკომენდაცია საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფედერაციიდან;<br>ე) ოფიციალური მიწვევის ან/და საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>ვ) ინფორმაცია საერთაშორისო ტურნირის შესახებ;<br>ზ) CV.<br>დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული.<br>საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br>აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაფინანსება შეიძლება გაეწიოს განმცხადებლის პირად მწვრთნელს, რომელიც ასევე მონაწილეობას ღებულობს აღნიშნულ ტურნირში. მწვრთნელმა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, უნდა წარმოადგინოს ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია.<br>ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის, კონკურსანტის შეფასების კრიტერიუმები, კონკურსის  ჩატარების  და გამარჯვებულის დაფინანსების წესი და სხვ.) განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით.<br><br>**2. წლის სპორტსმენი** - ღონისძიება ითვალისწინებს: წლის ყველაზე წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების, კლუბების გამოვლენას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ და გამორჩეულ სპორტულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ; ასევე, იმ პირთა გამოვლენას, ვინც ღვაწლი გაწია, დამსახურება გააჩნია, თუ პირადი წვლილი შეიტანა სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.<br>გამარჯვებულთა გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით. ხორციელდება კონკურსის წესით.<br>ღონისძიების ფარგლებში, დეკემბრის თვეში - გაიმართება დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალი.<br>ღონისძიების განხორციელების პირობები და პროცედურები (მათ შორის ნომინაციები, პრიზების და ფულადი ჯილდოს ოდენობები, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების წესი, ვადები და სხვა) განისაზღვრება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. |

| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელშეწყობილია ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარება, სტიმულირებულია წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენები/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდები და მათი მწვრთნელები. |
|---|---|

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსებულ სპორსტმენთა რაოდენობა | - | 5 | 40% - მომართვიანობის ცვლილება (+/-), |
| 2 | წლის ბოლოსათვის დაჯილდოებული წარმატებული და პერსპექტიული ბათუმელი სპორტსმენების/ბათუმში მოქმედი სპორტული გუნდებისა და მათი მწვრთნელების რაოდენობა | 60 | 60 | 20% - მომართვიანობის ცვლილება (+/-), |
| 3 | წარმოდგენილ განაცხადთა რაოდენობა | 70 | 30 | 10% - მომართვიანობის ცვლილება (+/-), |
| 4 | ქვეპროგრამაში მონაწილე სპორტსმენების კმაყოფილების მაჩვენებელი (მონაწილე სპორტსმენების უმრავლესობა თვლის, რომ განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობამ ხელი შეუწყო მათ განვითარებას და მოტივაციის ამაღლებას) | - | საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი | ღონისძიების დაბალი ხარისხი |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა | პირი | 5 | 4 000 | 20 000 | 20 000 | |
| 2 | წლის სპორტსმენი | ღონისძიება | 1 | 35 000 | 35 000 | 35 000 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | **55 000** | **55 000** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ღონისძიებებით გათვალისწინებულ პირთა რაოდენობა წარმოადგენს საორიენტაციო მაჩვენებელს. თუ შესაბამისი ღონისძიებების ბიუჯეტები არ ამოიწურება, შესაძლებელია ღონისძიებებით დადგენილი პირობების დაცვით, დაგეგმილზე მეტი პირის დაფინანსება. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 04 | სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 861 000 | 6 207 600 | 7 515 200 | 8 043 500 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-საშეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ბათუმელ სპორტსმენტთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტმენთა მიერ სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე. ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია:<br>**1. მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა -**<br>ღონისძიების ფარგლებში სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და სპორტული მივლინებების განხორციელება. მათთვის პირობების შექმნა სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარებისათვის. მუნიციპალური კლუბების საერთაშორისო ოფიციალურ ღონისძიებებზე, საწევროების გადახდას, შესაბამის დონეზე მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადებასა და მათი სხვადასხვა სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებსა და კურსებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ბათუმის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლებას და მათ მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას.<br>**2. ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა -**<br>ღონისძიება ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებას. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება. |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | მუნიციპალური საკლუბო გუნდების ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა | 785 | 1200 | 5% - ნაკლები მომართვიანობა; |
| 2 | კლუბების წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში (გუნდის შემთხვევაში) | - | 4 | 10% - მომზადების დონე |
| 4 | ქვეპროგრამაში მონაწილე ასაკობრივ ჯგუფებში ჩართულ ბავშვთა კმაყოფილების მაჩვენებელი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი | საორიენტაციო მაჩვენებელი - 60%-ზე მეტი | 10% - ღონისძიებების დაბალი ხარისხი |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| I | მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა | | | | 4 084 270 | 4 084 270 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სარაგბო კლუბის „ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა** | | | | **2 199 090** | **2 199 090** | |
| | სარაგბო სტადიონის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | პირი | 31 | 7 547 | 233 943 | 233 943 | |
| | საქონელი და მომსახურება სხვა დანარჩენი ხარჯები (სარაგბო სტადიონი) | თვე | 12 | 10 000 | 120 000 | 120 000 | |
| | ადმინისტრაციის შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა  შრომის ანაზღაურება | პირი | 9 | 16 977 | 152 795 | 152 795 | |
| | ადმინისტრაციის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავეთა  ანაზღაურება | პირი | 2 | 16 328 | 32 656 | 32 656 | |
| | ძირითადი გუნდის მწვრთნელები  შრომის ანაზღაურება | პირი | 5 | 48 927 | 244 635 | 244 635 | |
| | ძირითადი გუნდის სპორტსმენების შრომის ანაზღაურება | პირი | 33 | 38 881 | 1 283 061 | 1 283 061 | |
| | სხვა საქონელი და მომსახურება (ოფისის ხარჯი) | თვე | 12 | 1 667 | 20 000 | 20 000 | |
| | მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯი | თვე | 12 | 2 667 | 32 000 | 32 000 | |
| | ძირითადი გუნდის მივლინება | გასვლა | 15 | 5 333 | 80 000 | 80 000 | |
| 2 | **ფრენბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა** | | | | **263 600** | **263 600** | |
| | ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | პირი | 2 | 14 200 | 28 400 | 28 400 | |
| | ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება | პირი | 17 | 7 335 | 124 700 | 124 700 | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 15 | 2 133 | 32 000 | 32 000 | |
| | მოთამაშეების შეძენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები; | | | | 2 000 | 2 000 | |
| | შიგა სატურნირო მივლინებები | გასვლა | 28 | 1 607 | 45 000 | 45 000 | |
| | ოფისის ხარჯები | | | | 2 000 | 2 000 | |
| | სპორტული ინვენტარი | | | | 10 000 | 10 000 | |
| | მედიკამენტების შეძენის ხარჯი | | | | 1 500 | 1 500 | |
| | სპორტული დარბაზის იჯარის საფასური | | | | 10 000 | 10 000 | |
| | ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება | | | | 8 000 | 8 000 | |
| 3 | **საკალათბურთო კლუბის ,,ბათუმი 2010" განვითარების ხელშეწყობა** | | | | **1 239 300** | **1 239 300** | |
| | ადმინიტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | პირი | 6 | 15 283 | 91 700 | 91 700 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება | პირი | 17 | 49 447 | 840 600 | 840 600 | |
| | მოწვეული მოთამაშეების მგზავრობის თანხა | | | | 26 100 | 26 100 | |
| | მოთამაშეების შემენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები; | | | | 98 410 | 98 410 | |
| | შიგა სატურნირო მივლინებები (გასვლა) | | | | 111 000 | 111 000 | |
| | თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა | | | | 2 500 | 2 500 | |
| | სამედიცინო ხარჯი | | | | 4 990 | 4 990 | |
| | ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება | | | | 10 000 | 10 000 | |
| | სპორტული ინვენტარი | | | | 15 000 | 15 000 | |
| | სხვა საქონელი და მომსახურეობა (სხვა დანარჩენი ხარჯი) | | | | 4 000 | 4 000 | |
| | კალათბურთში ვალერი ალთაბაევის თასზე საერთაშორისო ტურნირის ორგანიზების ხარჯი | | | | 15 000 | 15 000 | |
| | ძირითადი გუნდის საწვრთნო შეკრება | | | | 20 000 | 20 000 | |
| 4 | **ხელბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა** | | | | **382 280** | **382 280** | |
| | ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | პირი | 3 | 11 667 | 35 000 | 35 000 | |
| | ძირითადი გუნდის მწვრთნელის შრომის ანაზღაურება | პირი | 1 | 13 800 | 13 800 | 13 800 | |
| | სპორტსმენების, მწვრთნელისა და ექიმის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 21 | 9 567 | 200 910 | 200 910 | |
| | მოთამაშეების შემენის, ლიცენზიებისა და საწევრო გადასახადები | პირი | 2 | 3 000 | 6 000 | 6 000 | |
| | შიდა სატურნირო მივლინებები | გასვლა | 20 | 2 800 | 56 000 | 56 000 | |
| | შიდა ტურნირების ორგანიზება ქვიშის ხელბურთში | ღონისძიება | 2 | 5 000 | 10 000 | 10 000 | |
| | სპორტული ინვენტარი (უნიფორმა) | ცალი | 25 | 299 | 7 470 | 7 470 | |
| | სპორტული ინვენტარი | ცალი | 10 | 200 | 2 000 | 2 000 | |
| | საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | | | | 5 500 | 5 500 | |
| | ოფისის ხარჯები (იჯარა) | | | | 10 000 | 10 000 | |
| | საწვრთნელი შეკრება | შეკრება | 2 | 17 800 | 35 600 | 35 600 | |
| II | **ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა** | | | | **776 730** | **776 730** | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სარაგბო კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა** | | | | **570 910** | **570 910** | |
| | ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება | პირი | 32 | 16 278 | 520 910 | 520 910 | |
| | ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების შიდა სატურნირო სპორტული ღონისძიების (მივლინების) ხარჯი | გასვლა | 18 | 2 778 | 50 000 | 50 000 | |
| 2 | **ფრენბურთის კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა** | | | | **10 000** | **10 000** | |
| | შიგა სატურნირო მივლინებები | | | | 10 000 | 10 000 | |
| 3 | **საკალათბურთო კლუბის ,,ბათუმი 2010" ბავშვთა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა** | | | | **64 700** | **64 700** | |
| | ბავშთა ჯგუფის მწვრთნელების შრომის ანაზღაურება | პირი | 1 | 10 900 | 10 900 | 10 900 | |
| | ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება | პირი | 3 | 17 933 | 53 800 | 53 800 | |
| 4 | **ხელბურთის კლუბის ,,ბათუმი" ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა** | | | | **131 120** | **131 120** | |
| | ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების შრომის ანაზღაურება | პირი | 5 | 8 324 | 41 620 | 41 620 | |
| | ბავშვთა ჯგუფების შიდა სატურნირო ღონისძიებები (მივლინებები) | გასვლა | 20 | 3 500 | 70 000 | 70 000 | |
| | ბავშვთა ჯგუფების სპორტული ინვენტარი (უნიფორმა) | ცალი | 65 | 100 | 6 500 | 6 500 | |
| | ბავშვთა ჯგუფების სპორტული ინვენტარი | ცალი | 50 | 60 | 3 000 | 3 000 | |
| | სასკოლო ფესტივალი მინი ხელბურთში | ღონისძიება | 2 | 5 000 | 10 000 | 10 000 | |
| **სულ ქვეპროგრამა** | | | | | **4 861 000** | **4 861 000** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | კლუბების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 05 | ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 277 800 | 443 900 | 443 900 | 443 900 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | ჭადრაკის როგორც ინტელექტუალური სპორტის სახეობის განვითარება, პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, პროფესიული დონის, მიღწევების და შედეგიანობის ამაღლება. |
| ქვეპროგრამის აღწერა | მდიდარი ისტორიის მქონე ჭადრაკი საზოგადოების კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. დღეისათვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჭადრაკი განიხილება, როგორც ახალგაზრდა თაობის აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება. რამეთუ ჭადრაკი ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ანალიზის, რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარს და სხვისი აზრის პატივისცემას, ჭადრაკი ფლობს შემოქმედებითი აქტივობის განვითარების მდიდარ შესაძლებლობებსაც. ცნობილი ამერიკელი განმანათლებელი , პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ბენჯამინ ფრაკლინი თავის ცნობილ ნაშრომში "ჭადრაკის ზნეობრივი ფასეულობანი" წერს რომ ჭადრაკის თამაშით შეგვიძლია ვასწავლოთ შორსმჭვრეტელობა, წინდახედულება, სიფრთხილე, სიმხნევე და ბევრი სხვა თვისება. გამოჩენილი პედაგოგის, ვასილი სუხომლინსკის აზრით, ჭადრაკი არის თანმიმდევრული, ლოგიკური აზროვნების შესანიშნავი სკოლა. მთელი რიგი გამოკვლევების შედეგებით ირკვევა, რომ ჭადრაკით დაინტერესებულ მოზარდთა შორის მინიმუმამდეა დაყვანილი ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება. კლუბი ნონაც თავის მხრივ ჯანსაღი ცხოვრების სტილის აგიტატორია და დაფუძნებიდან (2013 წ. 30 აპრილი) - დღემდე აღმზრდელობით საქმიანობას ეწევა. შედეგებიც სახეზეა: დღეს კლუბი ნონა ოთხგზის ევროპის და 4 გზის საქართველოს საკლუბო ჩემპიონია, ორგზის ევროპის საკლუბო ვიცე ჩემპიონი, კლუბს მიღწევებისთვის სამუდამოდ გადაეცა ევროპის გარდამავალი თასი, პარიზში დაჯილდოვდა "ოქროს ვარსკვლავით" ეფექტური მენეჯმენტისთვის, მოპოვებული აქვს ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული მრავალი ჯილდო სხვადასხვა ნომინაციებში. გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გაცვლთი პროექტების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორია, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საერთაშორისო საჭადრაკო სკოლებთან და კლუბებთან. უკვე მეხუთე წელია ორგანიზატორია საერთაშორისო ნორმიანი საჭადრაკო ფესტივალის "ბათუმის მერიის თასი", რომლის ფარგლებში 11 დამოუკიდებელი ტურნირი იმართება და ყოველ წელს ბათუმი მინიმუმ 20 ქვეყნის 1500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს. კლუბს გააჩნია ოფიციალური ვებ გვერდი, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოპულარობით სარგებლობს. 6 წელია კლუბში ფუნქციონირებს 4 ჯგუფი, ჯამში სტაბილურად 250-300 ბავშვი, რომელიც უსასყიდლოდ ეუფლება საჭადრაკო სიბრძნეს. პერიოდულად ტარდება შიდა ტურნირები, თემატური მასტერ კლასები და ერთდროული თამაშის სეანსები. ტრადიციული რაპიდ ტურნირი ვეტერან მოჭადრაკეთათვის "გურამ ჭანტურიას თასი" და საახალწლო ფესტივალი სხვადასხვა ასაკის და დონის ბავშვებისთვის. წარმატებული კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო ტურნირებში. დიდოსტატებს დანიშნული აქვთ ყოველთვიური სტიპენდიები და ინდივიდუალურ მომზადებას გადიან მათთვის სასურველ მწვრთნელებთან. კლუბი გააგრძელებს ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების განხორციელებას, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას და პოპულარაზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ცნობადობის ამაღლებას და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას. ქვეპროგრამის მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია: მართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, აგრეთვე, ტურნირების ორგანიზება და სხვადასხვა დონის ჩემპიონატებსა და შეხვედრებში მონაწილეობა. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელშეწყობილია ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონას" განვითარება და უზრუნველყოფილია კლუბის მონაწილეობა სხვადასხვა ტურნირებში; საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშოიროსო და ადგილობრივი ტურნირები, მზარდი რაოდენობა და მისაწვდომობა (ფართო მასებში). |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | კლუბის ბაზაზე ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა | 250 | 250 | 20% - მასწავლებლების კონტიგენტის შემცირება; მომართვიანობის ცვლილება |
| 2 | კლუბის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონიძიებების რაოდენობა | 10 | 20 | '20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები; |
| 3 | კლუბის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ტურნირების რაოდენობა | | 10 | '20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები; |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ კლუბის წევრები | | 10 | '20% - 'გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზები; |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **მართვა და ადმინისტრირება** | | | | **246 800** | **241 800** | **5 000** |
| | ადმინიტრაციის და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | პირი | 6 | 13 583 | 81 500 | 81 500 | |
| | ძირითადი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 7 | 7 600 | 68 400 | 42 900 | |
| | მოწვეული კლუბის წევრების ანაზღაურება | პირი | 10 | 800 | 8 000 | 8 000 | |
| | მოწვეული სპეციალური მწვრთნელების ანაზღაურება | პირი | 11 | 1 273 | 14 000 | 9 000 | 5000 |
| | ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელების ანაზღაურება | პირი | 9 | 6 129 | 42 900 | 68 400 | |
| | საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | | | | 33 720 | 32 000 | |
| 2 | **ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა** | | | | **31 000** | **21 000** | **10 000** |
| | შიგა სატურნირო მივლინებები საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი | ღონისძიება | 2 | 3 250 | 8 500 | 8 500 | |
| | საერთაშორისო ტურნირებში მივლინებები და გაცვლითი პროგრამები | | 3 | 3 333 | 10 000 | | 10000 |
| | ადგილზე სპორტული ღონისძიებების ორგანიზება "გურამ ჭანტურიას თასი" და საახალწლო ფესტივალი | 2 ფესტივალი | 4 ტურნირი<br>---------------<br>6 ტურნირი | 1 200 | 12 000 | 12 000 | |
| | სასკოლო საჭადრაკო ფესტივალი | 3 ეტაპი | 2 ტურნირი | | 500 | 500 | |
| | სულ ქვეპროგრამა | | | | **277 800** | **262 800** | **15 000** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | რაოდენობა და ერთეულის საშუალო ფასი საორიენტაციოა და დამოკიდებულია სატურნირო დებულებებში მოცემულ ფორმატზე. წინა სატურნირო ვითარებაზე, დასახული მიზნისთვის შესაფერის ტურნირის აღმოჩენაზე, აგრეთვე მიღებულ მოწვევებზე და სხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო კლუბებთან ერთობლივად დაგეგმილ გაცვლითი პროგრამების სიხშირესა და მნიშვნელობაზე. ქვეპროგრამა გულისხმობს აგრეთვე ონლაინ რესურსების გამოყენებას. მათ შორის ონლაინ ტურნირებს. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 05 01 06 | ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 221 900 | 265 000 | 265 000 | 265 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | საცხენოსნო სპორტის განვითარება |
| ქვეპროგრამის აღწერა | ცხენოსნობის ტრადიციები საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა, მეცხენეობა და საცხენოსნო სპორტი, დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში პრაქტიკულად აღარ ფუნქციონირებს. სფეროს აღორძინებასა და განვითარებას შესაბამისი ფინანსური რესურსი სჭირდება. სპორტის ეს სახეობა საკმაოდ მოცულობით ფინანსურ ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა მისი განვითარების შემთხვევაში, საცხენოსნო სპორტის და ტურიზმის სფეროდან მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება შესაძლებელი. 2023 წლისათვის ბათუმის საცხენოსნო კლუბი გეგმავს შემდეგ ღონისძიებების განხორციელებას:<br>1. მსოფლიო საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობა;<br>2. საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა;<br>3. საქართველოს პირველობაზე დოღში მონაწილ;ეობოის მიღება;<br>4. საქართველოს თასის გათამაშებაში კონკურში მონაწილეობა 18 წლამდე და უფროსი ასაკის მხედრებს შორის; 5. თბილისის თასი კონკურში 18 წლის და მაღალი ასაკის მხედრებს შორის.<br>კლუბის მიზანია ზემოთ აღნიშნულ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების დაკავება; მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და მათთვის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება; სპორტის პოპულარული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნება და მათი პოპულარიზაციისათვის საერთაშორისო თუ ადგილობრივი ტურნირების ჩატარება; საცხენოსნო სპორტული სახეობების პოპულარიზაცია და ქალაქის გადაქცევა სპორტული ტურიზმის ქალაქად; ცხენოსნობის განვითარება აჭარაში, შეჯიბრებებში მზარდი შედეგების მიღება. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | ხელშეწყობილია საცხენოსნო სპორტის განვითარება და უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებში |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | კლუბის ბაზაზე არსებული ცხენების რაოდენობა | 16 | 16 | ცხოველის სიკვდილიანობა |
| 2 | ადგილობრივი ტურნირების რაოდენობა, რომელშიც კლუბმა მიიღო მონაწილეობა | 6 | 10 | 20% - ცხენის ან მხედრის დაზიანება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | ადმინისტრაციის ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება | რაოდენობა | 5 | 15 280 | **76 400** | 76 400 | |
| 2 | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | რაოდენობა | 3 | 13 200 | **39 600** | 39 600 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა | რაოდენობა | 10 | 400 | **4 000** | 4 000 | |
| 4 | კვების ხარჯი | ცხენების რაოდენობა | 15 | 4 000 | **60 000** | 60 000 | |
| 5 | სხვა დანარჩენი საქონელიდამომსახურება, სხვა ხარჯები | | | | **41 900** | 26 900 | 15 000 |
| **სულ ქვეპროგრამა** | | | | | **221 900** | **206 900** | **15 000** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | |